ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N6.2.14.15/10/101

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2017 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში _ „შემსყიდველი“), წარმოდგენილი გამგებლის - დავით კირკიტაძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს ნილი“, ს/კ 200135558, მისამართი: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. N87 (შემდგომში „მიმწოდებელი“), დირექტორის - გიორგი ჯუღელის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: **2018 წლის იანვრის თვეში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 2630 მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეთათვის უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა,** რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაზე თანდართული მომსახურების ხარჯთაღრიცხვით დანართი N2 და სადილის მომზადების მენიუს გათვალისწინებით დანართი N1 და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება – გამარტივებული შესყიდვა („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება N3595 26.12.17წ. SMP170003162).

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **96205,40** (ოთხმოცდათექვსმეტიათასორასხუთი ლარი 40 თეთრი) ლარს, ყველა ხარჯისა და გადასახადის ჩათვლით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი - **55500000**

2.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან **2018 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: **ქ.თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N11ა, ვ. ბარნოვის ქ. N60 , რ. ლაღიძის ქ. N6, დ. კოჯორი, იუნკერების ქუჩა, შინდისი, მ. ნაკაშიძის ქ. N1.**

3.3 უფასო სასადილო საკვებს ბენეფიციარებზე უნდა გასცემდეს არანაკლებ 6 საათის განმავლობაში, 14:00 საათამდე ძირითადი სიით მოსარგებლე ბენეფიციარებზე, ხოლო 14:00-დან 16:00-მდე დამატებითი სიით მოსარგებლე ბენეფიციარებზე. მომსახურების ვადაში არ შედის საკვების მომზადებისათვის საჭირო დრო.

3.4 მიმწოდებელმა საკვები ულუფები უნდა გასცეს გამგეობის მიერ ოფიციალურად გადაცემული ბენეფიციართა სიების მიხედვით. ბენეფიციარების მიერ საკვების მიღება დადასტურებული უნდა იყოს ელექტრონული აღრიცხვის მეთოდით. ხოლო ტექნიკური პრობლემების (ინტერნეტის და ქსელის შეფერხება, ელექტროენერგიის გათიშვა ან სხვა) არსებობის შემთხვევაში, აკინძულ, ზონარგაყრილ და გამგეობის ბეჭდითა და გამგებლის ხელმოწერით დამოწმებულ ჟურნალში ბენეფიციარების ხელმოწერით. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ბენეფიციართა გამოცხადებისა და მათ მიერ მომსახურების მიღების აღრიცხვის წარმოება.

3.5 ბენეფიციარების მიერ საკვების მიღება ელექტრონული აღრიცხვის პროგრამაში უნდა იყოს თვალსაჩინო და ინფორმაციული. ასევე, ინფორმაციული უნდა იყოს ბენეფიციართა ყოველდღიური დასწრება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სასადილოების მიხედვით. ნაჩვენები უნდა იქნეს ყოველდღიური დასწრების ჯამური სტატისტიკა (რამდენი ბენეფიციარი დაესწრო, როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სიიდან);

3.6 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ყოველ მის დაქვემდებარებულ სასადილოში ელექტრონული აღრიცხვიანობის აპარატურის მონტაჟი, რომელშიც ჩატვირთულ პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომა ექნება გამგეობას. მიმწოდებელი ვალდებულია თითოეულ ბენეფიციარზე გასცეს ელექტრონული ბარათი, რომელსაც ადგილზე მისვლისას ბენეფიციარი გაატარებს შესაბამის აპარატში, ხოლო ბენეფიციარის მიერ ოჯახის წევრებისთვის ულუფების სახლში წაღების შემთხვევაში, ოჯახის წარმომადგენელი ვალდებულია თან იქონიოს ოჯახის სხვა წევრების ბარათები (შესაბამის აპარატში ულუფების აღრიცხვის მიზნით) და არმყოფი პირების იდენტობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ბენეფიციარის მიერ აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არ გასცეს შესაბამისი ულუფ(ები)ა. აღრიცხვის სისტემის დანერგვისას სრულად უნდა იქნეს დაცული საქართველოს კანონით „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნები. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია დანერგოს აღრიცხვის ალტერნატიული სისტემა.

3.7 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ვიდეო თვალის მონტაჟი უშუალოდ სამზარეულოში, რომლის მეშვეობითაც ჩაწერილი ინმფორმაცია მომწოდებლის მიერ უცვლელად უნდა ინახებოდეს არანაკლებ ერთი თვის განმავლობაში და ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად ყოველთვიურად წარუდგინოს გამგეობას ასანაზღაურებელი პერიოდის შესაბამისი

ვიდეოჩანაწერი. აღნიშნულ შემთხვევაში, სრულად უნდა იქნეს დაცული საქართველოს კანონით „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ გათვალისწინებული მოთხოვნები.
3.8 კვების პროდუქტების მიწოდებისას, შენახვისას, საკვების დამზადებისას და გაცემისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. მალფუჭებადი პროდუქტების მიწოდება უნდა მოხდეს ყოველდღიურად. სასადილომ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ახალი და ხარისხიანი პროდუქცია. ბენეფიციარებზე უნდა გაიცეს მიწოდების დღეს დამზადებული სადილი.
3.9 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკვების დამზადებაზე შერჩეული კადრ(ებ)ის სამედიცინო შემოწმება, ხოლო შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოუდგინოს პერსონალის ჯანმრთელობის შესახებ შესაბამისი ცნობ(ები)ა;
3.10 მენიუსა და მომსახურების გრაფიკში ცვლილების შეტანა დაუშვებელია, გარდა გამონაკლისისა, რაც წინასწარ წერილობით უნდა შეთანხმდეს გამგეობასთან და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ანგარიშსწორებისას;
3.11 სასადილოში, ბენეფიციართათვის თვალსაჩინო ადგილას, მიმწოდებლის მიერ განთავსებული უნდა იყოს ყოველდღიური მენიუ და სასადილოს სამუშაო საათები. საკვების გაცემა უნდა მოხდეს მენიუთი განსაზღვრული ულუფის წონის/მოცულობის შესაბამისად სასწორისა და ზუსტი მოცულობის განმსაზღვრელი ჭურჭლის მეშვეობით.
3.12 სასადილო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, აღჭურვილი უნდა იყოს სველი წერტილით, რომლითაც ბენეფიციარებს შეეძლებათ სარგებლობა.
3.13 მიმწოდებელმა თვის ბოლოსთვის გამგეობას უნდა წარუდგინოს ინფორმაცია იმ ბენეფიციარების შესახებ, რომელსაც გაუწია ფაქტიური მომსახურება თვის განმავლობაში, გაცემული ულუფების (პურის ჩათვლით) და მხოლოდ პურის გაცემის გათვალისწინებით.
3.14 მოსამზადებელი და ასანაზღაურებელი მენიუს შესაბამისი ულუფების (პურის ჩათვლით) და პურის ოდენობა განისაზღვრება გამგეობის მიერ მიმწოდებლისათვის პერიოდულად წინასწარ განსაზღვრული ოდენობების შესაბამისად.
3.15 მიმწოდებელს უნდა გააჩნდეს სასადილოს ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ინვენტარი.
3.16 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფართი უნდა იძლეოდეს კონკრეტულ ლოკაციაზე მომსახურების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობის არანაკლებ 3%-ისთვის ერთდროულად მომსახურების გაწევის შესაძლებლობას შესაბამისი სტაციონალური ადგილების უზრუნველყოფით.
3.17 სასადილოსთვის განკუთვნილი ფართი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს და მდებარეობდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებიდან არაუმეტეს 700 მეტრის რადიუსში.
3.18 სასადილოსთვის განკუთვნილი ფართი არ უნდა იყოს მიწის დონის ქვემოთ, საჭიროების შემთხვევაში მოწყობილი უნდა იყოს პანდუსი შშმ პირებისათვის და აღჭურვილი უნდა იყოს გამწოვი ვენტილაციით.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და მომსახურების ხარისხის (სასადილოს ფუნქციონირებასთან და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა საკითხის) პერიოდული ინსპექტირება, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან. შემოწმების შედეგები უნდა აისახოს სპეციალურ აქტში, რასაც ხელს აწერენ ინსპექტირების განმახორციელებელი პირები და მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირი. აღნიშნული დოკუმენტი წარედგინება კონტროლზე პასუხისმგებელ პირს. საჭიროების შემთხვევაში, ინსპექტირებას ექვემდებარება ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ან ბენეფიციართა მიერ შესაბამისი მიმართვის საფუძველზე წარმოშობილი შემთხვევა. ასევე, ინსპექტირებას ექვემდებარება მიმწოდებლის მიერ მომზადებული საკვების ხარისხი, რასთან დაკავშირებითაც უნდა განხორციელდეს შესაბამისი ექსპერტიზა, სპეციალური დაწესებულების მიერ.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.
5.3 ინსპექტირების შედეგად ნებისმიერი ნაკლოვანების გამოვლენის შემთხვევაში, კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე, გამგეობამ გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს მიმწოდებელს შესაბამისი წუნდების შესახებ. ინსპექტირებაზე პასუხისმგებელმა პირებმა კონტროლი უნდა გაუწიონ შესაბამისი ნაკლოვანების აღმოფხვრის მდგომარეობას.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
5.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ მთაწმინდის რაიონის სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი - რევაზ ცხოვრებაშვილი და წამყვანი სპეციალისტი მზია ბედია.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.5 პუნქტში მითითებული პირები).

6.2 თვის დასრულების შემდეგ მხარეებს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტში უნდა განისაზღვროს საანგარიშსწორებო პერიოდისთვის სასადილოში დამზადებული/შემოტანილი მენიუთი განსაზღვრული საკვების რაოდენობა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთი ბენეფიციარის კვების ღირებულება. საანგარიშსწორებო პერიოდში სასადილოს მომსახურების დღეების რაოდენობა და ანგარიშსწორებისათვის მოთხოვნილი თანხა (მომზადებული/შემოტანილი საკვების დღიური ულუფის რაოდენობა, ერთი ბენეფიციარის დღიური კვების ღირებულებისა და საანგარისწორებო პერიოდში მომსახურების მიწოდების დღეების რაოდენობის ნამრავლი).

6.4 გაწეული მომსახურების მიღებამდე მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირების მიერ უნდა გადამოწმდეს მომწოდებლის მიერ მოთხოვნილი თანხის ფაქტიურად გაწეულ მომსახურების დამადასტურებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შესაბამისობა, რომელიც გაანგარიშებული უნდა იქნეს 6.3 პუნქტით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით. ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინსპექტირებისას გამოვლენილ გარემოებები.

6.5 მომწოდებლის მიერ ბენეფიციარზე დღიური ულუფით გათვალისწინებული ნაწილის მიუწოდებლობა ან ნაკლები რაოდენობით/მოცულობით მიწოდება განიხილება სრული ულუფის მიუწოდებლობად, რაც შესაბამისად უნდა აისახოს მიღება-ჩაბარების აქტში.

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა *(ხელშეკრულების უცვლელი პირობა)*

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გამგეობის მიერ მიმწოდებლისათვის პერიოდულად წინასწარ განსაზღვრული მენიუს შესაბამისი ულუფების (პურის ჩათვლით) და პურის ოდენობების შესაბამისად.

7.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული ჯარიმის ანაზღაურებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე ჯარიმის გადახდის შემდეგ.

7.4 წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (გარდა ვადის გადაცილებისა) მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარისა.

8.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,05%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარისა.

8.4 იმ შემთხვევაში თუ ვალდებულების დარღვევა ეხება ბენეფიციართათვის მომსახურების გაწევის დღის სრულად გამოტოვებას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ჯერზე.

8.5 მიმწოდებლის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

8.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.

8.7 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

9.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ვადის 5 (ხუთი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორს-მაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორს-მაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორს-მაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობის და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. ღირებულება

12.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
12.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად გამგეობისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.3 თუ ცვლილება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით და შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, ცვლილებების ინიციატორი მხარის მიერ დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობა, ამასთან, ცვლილების აუცილებლობის გამომწვევი მიზეზის არსიდან გამომდინარე, თუკი შესაძლებელია, ცვლილების ინიციატორის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს აღნიშნული მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტი (შესაბამისი ექსპერტის დასკვნა და ა. შ.)
12.4 თუკი ცვლილების ინიციატორი მიმწოდებელია, ხელშეკრულების მიმდინარეობისას ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს (თუ შესაძლებელია) რამდენად შეესაბამება რეალობას მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.
12.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.6 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

13.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

13.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:

ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 595 35 45 73 საკონტ. პირი ბ-ნი გიორგი ჯუღელი;

ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი: 598 808 808; საკონტ. პირი ბ-ნი რევაზ ცხოვრებაშვილი;

13.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.

13.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ხოლო ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს მიერ.

14.2 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

14.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

15.1 ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ მოითხოვება.

16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

16.4 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

16.5 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა ს/კოდი: 204521954 მის: ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48. ხაზინის ერთიანი ანგარიში სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი TRESGE22 ---------- დავით ვირკიტაძე	შპს ნილი“, ს/კ 200135558, მის: ქ. თბილისი, ჭყონდიდელის ქ. N87 სს „პროგრეს ბანკი“ ა/ა №GE21 PG 0000 0010 9348 3581 ბანკის კოდი PRSGGE22 ---------- გიორგი ჯუღელი

უმწეოთა ერთჯერადი (სადილი) კვების ერთკვირიანი მენიუ
სეზონურობის გათვალისწინებით
ზამთარი-გაზაფხული

ორშაბათი	*სამშაბათი*
1. მაწვნის შეჭამანდი – 400გ; 2. წიწიბურას ფანტია ფაფა – 150გ; 3. კომპოტი ხილის – 200გ; 4. პური ხორბლის – 250გ;	1. ბორშჩი ვეგეტარიანული – 400გ; 2. მაკარონი ყველით 35/200გ; 3. ასკილის ნაყენი – 200გ; 4. პური ხორბლის – 250გ;
ოთხშაბათი	*ხუთშაბათი*
1. ხაბახუბა-ბოსტნეულის სალათი (ვინეგრეტი) – 150გ; 2. ლობიო ამოლესილი –400გ; 3. ხილი – 80გ; 4. პური ხორბლის – 250გ;	1. ჩიხირთმა ქათმის ბულიონზე – 400გ; 2. ქათამი (ბარკალი) შებრაწული ჩათუშული კომბოსტოს გარნირით 75/120გ; 3. ლიმონის ვიტამინიზირებული სასმელი – 200გ; 4. პური ხორბლის – 250გ;
პარასკევი	*შაბათი*
1. ბარდის წვნიანი – 400გ; 2. ბრინჯის ფლავი ქიშმიშით და ჩირით 180გ; 3. კომპოტი ხილის – 200გ; 4. პური ხორბლის – 250გ;	1. მაკარონის ან ვერმიშელის წვნიანი – 400გ; 2. სოსისი წიწიბურას გარნირით 100/150გ; 3. კომპოტი ხილის – 200გ; 4. პური ხორბლის – 250გ;
კვირა	
1. წვნიანი ხორცის გუფთებით – 400გ; 2. შვრიის ფანტელის (ჰერკულესი) ფაფა რძით – 250/50გ; 3. პური ხორბლის – 250გ;	

მენიუში გამოყენებული კერძების რეცეპტურა, ქიმიური შემადგენლობა

და ენერგეტიკული ღირებულება

	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
I დღე	<u>1.მაწვნის შეჭამანდი</u>						
	მაწონი	40	40	1.12	1.28	1.8	23
	ხახვი	12	10	0.24	-	0.92	4.6
	ბრინჯი	30	30	1.92	0.13	21.75	96
	კვერცხი ცალობით	0.25	12	1.27	1.35	0.06	17.5
	ცხიმი ცხოველური	5	5	0.02	3.92	0.02	35.4
	ნიორი	1	0.8	-	-	-	-
	მარილი	1	1	-	-	-	-
	მწვანილი	7	5	-	-	-	-
	გამოსავალი	400		4.57	6.68	24.55	176.5
	<u>2. წიწიბურას ფანტია ფაფა</u>						
	წიწიბურა						
	ზეთი	50	50	4.24	0.92	25.76	128.3
	მარილი	10	10	-	9.9	-	89.1
	წყალი	1	1	-	-	-	-
		130	130	-	-	-	-
	გამოსავალი	150		4.24	10.82	25.76	217.4
	<u>3. კომპოტი ხილის</u>						
	ვაშლი	40	35	0.12	-	4.02	16.56
	შაქარი	15	15	-	-	14.9	59.6
	გამოსავალი	200		0.12	-	18.92	76.16
	<u>4. პური</u>	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			28.68	19.75	186.73	1020

	კერძების დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
II დღე	1.ბორშჩი ვეგეტარიანული						
	კომბოსტო	100	80	1.2	-	4.16	21.5
	ჭარხალი	85	68	0.75	-	7.14	21.4
	ხახვი	12	10	-	-	-	-
	სტაფილო	25	20	0.3	-	1.8	8.4
	კარტოფილი	65	50	0.85	-	10	43.4
	მწვანილი	7	5	0.15	-	0.38	2
	ტომატ-პასტა	5	5	0.2	-	0.85	4.2
	მარილი	1	1	-	-	-	-
	მცენარეული ცხიმი	8	8	-	7.9	-	71.1
	არაჟანი	10	10	0.21	2.8	0.31	27.2
	გამოსავალი	400		3.45	7.9	23.33	199
	2. მაკარონი ყველით						
	მაკარონი	50	50	5.6	0.8	34	168.8
	ცხიმი ცხოველური	10	10	0.04	7.82	0.04	78.0
	ყველი	35	30	5.6	4.2	0.9	63.5
	მარილი	2	2	-	-	-	-
	გამოსავალი	150		11.24	12.82	34.94	310.3

	3. ასკილის ნახარში						
	ასკილი	20	20	-	-	-	-
	წყალი	200	200	-	-	-	-
	შაქარი	10	10	-	-	9.9	39.6
	გამოსავალი	200		-	-	9.9	39.6
	4. პური	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			34.44	22.97	186	1098.6

	კერძების დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
III დღე	1.ხაბახუბა (ვინეგრეტი)						
	კარტოფილი	70	50	0.85	-	10	43
	სტაფილო	25	20	0.26	-	1.52	7.2
	ჭარხალი	38	30	0.33	-	3.09	14
	მჟავე კიტრი	35	30	0.21	-	0.39	2
	ლობიო	10	10	2.3	0.16	5.1	31.4
	ზეთი	7	7	-	6.9	-	62.3
	მწვანილი	7	5	0.15	-	0.38	2.4
	მარილი	1	1	-	-	-	-
	გამოსავალი	150		4.04	6.25	20.48	161.3
	2. ლობიო ამოლესილი						
	ლობიო	80	80	18.4	1.28	40.8	248.3
	ხახვი	10	7.8	0.22	-	7.6	31.3
	მწვანილი	5	4	0.12	-	0.2	0.5
	ნიორი	2	1.5	0.07	-	0.08	0.6
	სუნელები	0.5	0.5	-	-	-	-
	მარილი	1.5	1.5	-	-	-	-
	ზეთი	5	5	-	4.9	-	44.1
	გამოსავალი	400		18.81	6.2	48.68	324.8

	3. ხილი (ვაშლი ან ციტრუსი)	80	60	0.3	-	7.32	60.96
	გამოსავალი						
	4. პური	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			42.9	14.7	193.9	1097

	კერძების დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
IV დღე	1.ჩიხირთმა ქათმის ბულიონზე ქათმის ბულიონი ფქვილი ხორბლის კვერცხი (ცალობით) ხახვი მარილი	 350 20 0.5 7 1	 350 20 24 5 1	 - 1.89 2.54	 - 0.16 2.7	 - 14.08 0.12	 - 65 35
	გამოსავალი	400		4.43	2.86	14.2	100
	2.ქათამი (ბარკალი) შებრაწული ქათამი ცხიმი ცხოველური მარილი	 160 5 1	 100 5 1	 11.5 0.02 -	 8.2 3.9 -	 - 0.025 -	 120 35.3 -
	გამოსავალი	75		11.52	12.1	0.025	155.3
	გარნირი: ჩათუშული კომბოსტო კომბოსტო ხახვი ტომატ-პასტა ზეთი მარილი	 120 24 5 5 1	 100 20 5 5 1	 1.5 0.5 0.2 - -	 - - - 4.9 -	 5.2 1.84 1 - -	 27 9.4 4.8 44.1 -

	გამოსავალი	120		2.2	4.9	8.04	85
	3. ლიმონის (ან ნებისმიერი ციტრუსის) სასმელი ლიმონი შაქარი	40 15	30 15	0.1 -	- -	2.94 14.9	11.8 59.6
	გამოსავალი	180		0.1	-	17.84	71.4
	4. პური	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			42.1	27.41	157.84	1032

	კერძების დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
V დღე	1.ბარდის წვნიანი ბარდა	60	60	11.04	0.76	30.6	186.2
	ხახვი	10	7.8	0.22	-	7.6	31.8
	სტაფილო	12	10	0.13	-	0.76	3.6
	მწვანილი	7	5	0.15	-	0.25	1.6
	ნიორი	1	0.8	-	-	-	-
	მცენარეული ცხიმი	5	5	-	4.9	-	44.1
	მარილი	1.5	1.5	-	-	-	-
	გამოსავალი	400		11.54	5.66	39.21	267.3
	2. ბრინჯის ფლავი ქიშმიშით და ჩირით ბრინჯი	50	50	3.2	0.45	36.25	162
	ქიშმიში	10	10	0.15	-	6.8	27.8
	ჩირი	10	10	0.18	-	7.6	14.2
	შაქარი*	10	10	-	-	9.9	89.1
	კარაქი	10	10	0.04	7.82	0.04	70.7
	მარილი	1	1	-	-	-	-
	წყალი						

		120	120	-	-	-	-
	გამოსავალი	180		3.57	8.27	60.59	363.8
	3. კომპოტი ხილის						
	ვაშლი	40	35	0.12	-	4.02	16.56
	შაქარი	15	15	-	-	14.9	59.6
	გამოსავალი	200		0.12	–	18.92	76.16
	4. პური	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			34.98	16.2	236.2	1257

* - დიაბეტიანებისთვის შაქრის ჩანაცვლება ხდება სხვადასხვა დამატკბობლებით. დასაშვებია ქსილიტი, სორბიტი, ასპარტამი და ა.შ.

	კერძების დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
VI დღე	1.მაკარონის ან ვერმიშელის წვნიანი						
	მაკარონი ან ვერმიშელი	25	25	2.8	0.4	17.0	84.4
	კარტოფილი	50	32	0.54	-	6.4	27.8
	სტაფილო	15	12	0.15	-	0.8	3.8
	ხახვი	10	8.5	0.22	-	0.85	4.3
	ტომატ-პასტა	3	3	-	-	-	-
	მწვანილი	7	5	0.15	-	0.38	2.12
	ნიორი	1	0.8	-	-	-	-
	მარილი	1	1	-	-	-	-
	ცხიმი	5	5	-	4.9	-	44.1
	გამოსავალი	400		3.86	5.3	25.8	166.5
	2. სოსისი მოხარშული						
	სოსისი	100	100	13	17.8	4.6	232
	გამოსავალი	100		13	17.8	4.6	232

	2. წიწიბურას ფანტია ფაფა						
	წიწიბურა						
	ზეთი	50	50	4.24	0.92	25.76	128.3
	მარილი	10	10	-	9.9	-	89.1
	წყალი	1	1	-	-	-	-
		130	130	-	-	-	-
	გამოსავალი	150		4.24	10.82	25.76	217.4
	3. კომპოტი ხილის						
	ვაშლი	40	35	0.12	-	4.02	16.56
	შაქარი	15	15	-	-	14.9	59.6
	გამოსავალი	200		0.12	-	18.92	76.16
	4. პური	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			41.11	33.12	187.35	1196.1

	კერძების დასახელება	რაოდენობა გ		ქიმიური შემადგენლობა, გ			
		ბრუტო	ნეტო	ცილები, გ	ცხიმები, გ	ნახშირ-წყლები,გ	ენერგეტიკული ღირებულება, კკალ
VII დღე	1.წვნიანი ხორცის გუფთებით						
	ხორცი საქონლის						
	ხახვი	70	50	7.8	4.95	-	76.2
	მწვანილი	12	10	0.25	-	0.92	4.7
	ბრინჯი	7	5	-	-	-	-
	ტომატ-პასტა	25	25	1.6	0.21	18.12	80.8
	ზეთი	3	3	-	-	-	-
	ნიორი	5	5	-	4.9	-	44.1
	სუნელები	2	1.6	-	-	-	-
	შავი წიწაკა	0.5	0.5	-	-	-	-
	მარილი	0.3	0.3	-	-	-	-
		1	1	-	-	-	-
	გამოსავალი	400		9.65	10.06	19.04	206

	2. შვრიის ფანტელის „ჰერკულესის" ფაფა „ჰერკულესი" რძის ფხვნილი ცხიმი მარილი	 50 10 5 1	 50 50 5 1	 5.5 1.4 0.02 -	 3.05 1.61 3.92 -	 31 2.3 0.02 -	 174 29 25.46 -
	გამოსავალი	250		6.92	8.58	32.32	228
	3. პური	250	250	19.75	2.25	117.5	550
	სულ სადილზე			37.12	2.89	185.5	1078.5

შემსყიდველი:

დავითკიორკიტაძე

მიმწოდებელი:

გიორგი ჯუღელი

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

ქ. თბილისში, სოლოლაკის უბნის ტერიტორიაზე (გ. ლეონიძის ქ. N11ა)
უფასო კვების ორგანიზება 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით
800 ბენეფიციარისათვის

N		სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის ერთ დღეში კვებით მომსახურების ფასი	მომსახურების გაწევის დღეთა რაოდენობა	სულ 800 ბენეფიციარის მომსახურების ღირებულება 31 დღეში
	1	2	3	4	5
1	მენიუთი გათვალისწინებული ულუფა პურის გარეშე	800	0.91	31	22568.00
2	მენიუთი გათვალისწინებული პური		0.27		6696,00

ქ. თბილისში, ვერის უბნის ტერიტორიაზე (ვ. ბარნოვის ქ. N60)
უფასო კვების ორგანიზება 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით
700 ბენეფიციარისათვის

N		სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის ერთ დღეში კვებით მომსახურების ფასი	მომსახურების გაწევის დღეთა რაოდენობა	სულ 700 ბენეფიციარის მომსახურების ღირებულება 31 დღეში
	1	2	3	4	5
1	მენიუთი გათვალისწინებული ულუფა პურის გარეშე	700	0.91	31	19747,00
2	მენიუთი გათვალისწინებული პური		0.27		5859,00

ქ. თბილისში, მთაწმინდის უბნის ტერიტორიაზე (რ. ლაღიძის ქ. N6)
უფასო კვების ორგანიზება 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით
430 ბენეფიციარისათვის

N		სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის ერთ დღეში კვებით მომსახურების ფასი	მომსახურების გაწევის დღეთა რაოდენობა	სულ 430 ბენეფიციარის მომსახურების ღირებულება 31 დღეში
	1	2	3	4	5
1	მენიუთი გათვალისწინებული ულუფა პურის გარეშე	430	0.91	31	12130,30
2	მენიუთი გათვალისწინებული პური		0.27		3599.10

ქ. თბილისში, კიკეთი-კოჯრის უბნის ტერიტორიაზე (დ. კოჯორი, იუნკერების ქუჩა)
უფასო კვების ორგანიზება 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით
350 ბენეფიციარისათვის

N		სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის ერთ დღეში კვებით მომსახურების ფასი	მომსახურების გაწევის დღეთა რაოდენობა	სულ 350 ბენეფიციარის მომსახურების ღირებულება 31 დღეში
	1	2	3	4	5
1	მენიუთი გათვალისწინებული ულუფა პურის გარეშე	350	0.91	31	9873,5
2	მენიუთი გათვალისწინებული პური		0.27		2929,5

ქ. თბილისში, წავკისი-შინდისი-ტაბახმელას უბნის ტერიტორიაზე (შინდისი, მ. ნაკაშიძის ქ. N1)
უფასო კვების ორგანიზება 2018 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით
350 ბენეფიციარისათვის

N		სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	ერთი ბენეფიციარის ერთ დღეში კვებით მომსახურების ფასი	მომსახურების გაწევის დღეთა რაოდენობა	სულ 350 ბენეფიციარის მომსახურების ღირებულება 31 დღეში
	1	2	3	4	5
1	მენიუთი გათვალისწინებული ულუფა პურის გარეშე	350	0.91	31	9873,5
2	მენიუთი გათვალისწინებული პური		0.27		2929,5

შემსყიდველი:

დავითკირკიტაძე

მიმწოდებელი:

გიორგი ჯულელი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი 27 დეკემბერი 2017 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა შპს „ნილი“-სთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული N6.2.14.15/10/101 ხელშეკრულების (2018 წლის იანვრის თვეში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 2630 მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეთათვის უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა) სახელმწიფო შესყიდვის შერჩევის პროცედურასა და პირობების შესრულების კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: დ.კირკიტაძე

რ.ცხოვრებაშვილი

ხ.შიუკაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ქ. თბილისი 03 იანვარი 2018 წ.

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა შპს „ნილი“-სთან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 2017 წლის 27 დეკემბერს გაფორმებული N6.2.14.15/10/101 ხელშეკრულების (2018 წლის იანვრის თვეში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები 2630 მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეთათვის უფასო სასადილოებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა) სახელმწიფო შესყიდვის შერჩევის პროცედურასა და პირობების შესრულების კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: მ.ბედია